

სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება: ბიოქიმია, Biochemistry

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ბიოქიმიის მაგისტრი, M.Sc. In Biochemistry

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ნანა კოშორიძე

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:

- პროგრამაზე დაშვების პირობაა ერთიანი ეროვნული სამაგისტრო და სპეციალობაში გამოცდების წარმატებით ჩაბარება
- ბაკალავრის ხარისხი ბიოლოგიასა ან ქიმიაში;
- შესაბამისი ხარისხი მედიცინაში;

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

მიზანი - სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ მაგისტრანტი დაეუფლება ცოდნას, როგორც ფუნდამენტურ, ასევე გამოყენებით ბიოქიმიაში, როგორცაა უჯრედული მეტაბოლიზმი, მემბრანოლოგია, ენზიმოლოგია, მცენარეთა ბიოქიმია, ნეიროქიმია, უჯრედული რეგულაციის საფუძვლები, მაკრომოლეკულების ქიმია, ბიოტექნოლოგია, ფუნქციური ბიოქიმია და სხვა. ცალკე სალექციო კურსადაა შეტანილი თანამედროვე ბიოქიმიური კვლევების მეთოდები. ყველა ამ კურსის შესწავლა მიმდინარეობს ამ დარგებში მომუშავე მკვლევარებისა და პედაგოგების მიერ, რომლებთანაც მაგისტრები, ფართო თეორიული მომზადების გარდა შესძლებენ ლაბორატორიებში მუშაობასაც. პროგრამის მიზანია მაგისტრანტს გააცნოს ბიოქიმიის, როგორც ფუნდამენტური მეცნიერების დარგის მრავალფეროვნება, შეასწავლოს თანამედროვე ბიოქიმიური კვლევების მეთოდები, შეუქმნას წარმოდგენა ბიოქიმიის მნიშვნელობაზე როგორც ბიოლოგიური მეცნიერებების, ასევე მედიცინის განვითარებაში. პროგრამა სამეცნიერო კვლევებზეა ორიენტირებული, რის საფუძველსაც იძლევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოქიმიური კვლევითი ლაბორატორიები და სამეცნიერო ხელსაწყოები. კვლევით ლაბორატორიებში მუშაობა მაგისტრანტს აძლევს საშუალებას აქტიურად ჩაერთოს აქ მიმდინარე სამეცნიერო მუშაობაში.

შედეგი – აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულები გამოიმუშავენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ასევე დისკუსიებში მონაწილეობის, გადასაწყვეტ საკითხთან კრიტიკული მიდგომის და პრობლემის დამოუკიდებლად გადაჭრის, საკუთარი მოსაზრებების საჯარო წარდგენის და დასაბუთების უნარ-ჩვევებს, რაც მომავალში დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაგრძელების წინაპირობას წარმოადგენს.

დასაქმების სფეროები - სამაგისტრო პროგრამა "ბიოქიმია" ამზადებს ფუნდამენტური და პრაქტიკული, ასევე სამედიცინო სფეროში მომუშავე კვალიფიციურ სპეციალისტებს. კურსდამთავრებულებს შეძენილი ცოდნის რეალიზირება შეუძლიათ როგორც შემდგომი სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოს შესასრულებლად (შემდგომი სწავლის გაგრძელებით დოქტორანტურაში ბიოქიმიის სპეციალობით როგორც თსუ-ში, ასევე საზღვარგარეთის მოწინავე უნივერსიტეტებში). კურსდამთავრებულებს შეძენილი ცოდნის რეალიზირება შეუძლიათ სხვადასხვა სასწავლო, სამედიცინო და კვების მრეწველობის სექტორში:

- ბიოლოგიური პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და დაწესებულებებში;

- სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში (კლინიკურ-დიაგნოსტიკურ ცენტრებში, ბიომედიცინის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებში), სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურ და ფარმაცევტული პროფილის წარმოებებსა და დაწესებულებებში;
- ბიოტექნოლოგიური და კვების მრეწველობის ობიექტების დიაგნოსტიკური ლაბორატორიები (პურ-კომბინატების, ლუდისა და ალკოჰოლური სასმელების, სურსათის ხარისხის შემფასებელი და კრიმინალისტურ-საექსპერტო ლაბორატორიები)